20.07.2026

მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები საქართველოში
2026 წლის ივნისი

ძირითადი შედეგები

- **მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე** წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 1.8 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 6.2 პროცენტით;

- **სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი** წინა თვესთან შედარებით შემცირდა 1.2 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 1.4 პროცენტით;

- **მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე** წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 2.8 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით 7.7 პროცენტით.

მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები



20.07.2026

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე **წინა თვესთან შედარებით** გაიზარდა 1.8 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში ფასების 6.7 პროცენტით ზრდა დაფიქსირდა საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე, ხოლო დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 0.2 პროცენტით. ამასთან, სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე ფასები გაიზარდა 0.01 პროცენტით, ხოლო წყლის ტრანსპორტის მომსახურებაზე ფასები შემცირდა 2.9 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი გაიზარდა 6.2 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში ფასების ზრდა დაფიქსირდა საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე 17.0 პროცენტით, ხოლო სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე 3.6 პროცენტით. ამასთან, წყლის ტრანსპორტის მომსახურებაზე ფასები გაიზარდა 1.3 პროცენტით, ხოლო დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე ფასები შემცირდა 4.4 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2026 წლის ივნისში სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2025 წლის ივნისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
H	**სულ**	**106.2**	**6.22**
49	სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურება და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურება	103.6	2.43
50	წყლის ტრანსპორტის მომსახურება	101.3	0.00
51	საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება	117.0	3.96
52	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურება	95.6	-0.18

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.07.2026

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ჯამური ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** შემცირდა 1.2 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები შემცირდა 7.7 პროცენტით, ხოლო სადენიან და უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები უცვლელია.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ჯამური ინდექსი შემცირდა 1.4 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები შემცირდა 11.7 პროცენტით. ამასთან, სადენიან სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები შემცირდა 2.3 პროცენტით, ხოლო უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები გაიზარდა 1.5 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2026 წლის ივნისში სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2025 წლის ივნისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
J	**სულ**	**98.6**	**-1.38**
61.1	სადენიანი სატელეკომუნიკაციო მომსახურება	97.7	-0.39
61.2	უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	101.5	0.77
61.9	სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურება	88.3	-1.76

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.07.2026

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე **წინა თვესთან შედარებით** გაიზარდა 2.8 პროცენტით. ფასების ზრდა დაფიქსირდა დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურებაზე 4.1 პროცენტით, ხოლო საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურებაზე ფასები გაიზარდა 1.7 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ჯამური ინდექსი გაიზარდა 7.7 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურებაზე ფასები გაიზარდა 8.6 პროცენტით, ხოლო დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურებაზე ფასები გაიზარდა 6.2 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2026 წლის ივნისში დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2025 წლის ივნისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
I	**სულ**	**107.7**	**7.66**
55	მომსახურება დროებითი განთავსების საშუალებებით	106.2	3.11
56	მომსახურება საკვების და სასმელების მიწოდებით	108.6	4.55

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge